საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №13

ქ.თბილისი

25.06.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ირაკლი მაჩაბელი - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი; სხდომის თავმჯდომარე;
მაია ჩიხლაძე - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეას“ დირექტორის მოადგილე, მედიცინის დოქტორი; საბჭოს მდივანი;
ნანა გაფრინდაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; სხდომის თავმჯდომარე;
ზაზა მარუაშვილი - შპს - კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი;
ზაზა რუხაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი;
მამია ჯანჯალია - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე;
დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

გიორგი ცხვედიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
ლიკა გიორგაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
თამარ აფრასიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
თამთა კობახიძე - ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
ნინო გაგელიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

დავით ბოსტოღანაშვილი;
ნინო ჯოჯუა;
მაია გონაშვილი;
მაია ბიწაძე.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ქეთევან ჯინჭარაძე;
ნინო გვენეტაძე;
თეა ამნიაშვილი.

შპს - ახალი უმაღლესი სასწავლებლის უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
თამარ გარდაფხაძე;
გიორგი კიპაროიძე.

შპს - უმაღლესი სასწავლებლის განათლების აკადემიის წარმომადგენლები:

მარიამ მესხიშვილი;
ნატო ზაქარეიშვილი;
ნატალია ბარათელი;
მაკა ბარბაქაძე;
ნატო სადილიანი;
ანა ჟორჟოლიანი;
მარინა გიორგაძე;
გოჩა თოდუა.

შპს - აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

დავით ჩერქეზიშვილი;
ირინე დარჩია;
ზურაბ ძლიერიშვილი;
ლილი ბიბილაშვილი;
ავთანდილ გაგნიძე;
ირმა ბარბაქაძე.

სხდომა დაიწყო 15:25 საათზე. საბჭოს მდივანმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავჯდომარისა და მისი მოადგილის არყოფნის გამო საბჭოს წევრებმა სხდომის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ირაკლი მაჩაბელი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

6. შპს უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიის ფინანსების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირება(ფინანსები) სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება ან ხომ არ ჰქონდათ დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე შუამდგომლობა. ზაზა რუხაძემ განაცხადა თვითაცილება დღის წესრიგით განსაზღვრულ 1-4 საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულებასთან თანამშრომლობის გამო. ასევე, ნანა გაფრინდაშვილმა განაცხადა თვითაცილება დღის წესრიგით განსაზღვრულ 6-7 საკითხებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომაგდენელთან ნათესაური კავშირის გამო.

სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ დაფიქსირებულა. საბჭომ დაამტკიცა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს და სთხოვა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშებსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარეებმა დაადასტურეს, რომ აღნიშნულ დოკუმენტაციას იცნობდნენ.

1. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	სამართალი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამართლის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული და ინგლისური
კვალიფიკაციის კოდი	06
კრედიტების რაოდენობა	240

ექსპერტმა დავით ბოსტოღანაშვილმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გააცნო საბჭოს:

- სასურველია, დაიხვეწოს ქრთული სამართლის ისტორიის სილაბუსში მოცემული თემატიკის თანმიმდევრობა - ჯერ ისწავლებოდეს სამართლის წყაროები და შემდგომ სამართლის ცალკეული დარგები; სახელმწიფოს წარმოშობისა და განვითარების ეტაპები ისწავლებოდეს თანმიმდევრულად; ასევე, გათვალისწინებული იყოს ისეთი საკითხების სწავლება, როგორიცაა დანაშაულის სახეები ძველ ქართულ სამართალში და ისეთი მნიშვნელოვანი საეკლესიო სამართლის ძეგლი, როგორიცაა რუის-ურბნისის ძეგლისწერა.
- სასურველია, გაძლიერდეს დაწესებულების გარეთ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესაძლებლობები.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენელმა ქეთევან ჯინჭარაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინებით დაკონკრეტდა დანაშაულის სახეები, ასევე გათვალისწინებულ იქნა საეკლესიო სამართლის სწავლებაც. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ მათ უჭირდათ პრაქტიკაზე დიდი ნაკადის მიღება, ბევრ ორგანიზაციასთან ჰქონდათ დადებული მემორანდუმები, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან, საადვოკატო ბიუროსთან და ა.შ.

ზაზა მარუაშვილმა წარმატება უსურვა უნივერსიტეტს და აღნიშნა, რომ კავკასიის უნივერსიტეტი და ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი თანამშრომლობდნენ, მაღალკვალიფიციური კადრები ჰყავდათ, კარგი პროგრამები და სასწავლო კურსები ჰქონდათ.

ირაკლი მაჩაბელმა იკითხა, აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს რაც შეიცვალა, სათანადო წესით თუ დამტკიცდა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ყველა ცვლილება შესაბამისი წესით დამტკიცდა ექსპერტთა ვიზიტის დროს. ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაზე ჩარიცხვა პირველად 2005 წელს განხორციელდა და პროგრამამ 2009 წელს გამოუშვა პირველი ნაკადი. მათი 75-80% დასაქმებული იყო. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებმა უცხო ენა საკმაოდ მაღალ დონეზე იცოდნენ და ეს განაპირობებდა მათ დასაქმებას როგორც საზღვარგარეთ, ისე საქართველოში, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებში.

ნინო გვენეტაძის თქმით, დამამთავრებელი კურსის სტუდენტები ამჟამად გადიოდნენ სტაჟრებას საჯარო რეესტრში და დიდი ალბათობით, იქვე დასაქმდებოდნენ.

2. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	სამართალი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამართლის მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული და ინგლისური
კვალიფიკაციის კოდი	06
კრედიტების რაოდენობა	120

ექსპერტმა დავით ბოსტოღანაშვილმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაცია გააცნო საბჭოს:

- სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი წარმოდგენილია 6 კრედიტის მოცულობით, სასურველია გაიზარდოს პრაქტიკული კომპონენტის მოცულობა, თუნდაც არჩევითი კომპონენტის სახით და ასევე გაძლიერდეს დაწესებულების გარეთ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესაძლებლობები.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აღნიშნული პროცედურა სკოლის საბჭოში ხორციელდებოდა, პროგრამაში გათვალისწინებული იყო ბევრი მიმართულება და ასევე სტუდენტებს დარგთაშორისი კონცენტრაციიდან უნდა აერჩიათ 2 საგანი. უნივერსიტეტი სტუდენტს შესაძლებლობას აძლევდა დამატებით აერჩია ასევე სასერთიფიკატო კურსები და დამატებითი ცოდნა მიეღოთ.

3. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა:

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	სამართალი
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამართლის დოქტორი
სწავლების ენა	ქართული და ინგილისური
კვალიფიკაციის კოდი	06
კრედიტების რაოდენობა	180

ექსპერტმა დავით ბოსტოღანაშვილმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გააცნო საბჭოს:

- სასურველია სამართლის სადოქტორო პროგრამის შედეგების ნაწილში ცხადად გაიწეროს სწავლის უნარი, რათა უკეთ გამოჩნდეს, რომ კურსდამთავრებულს ექნება უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარებისათვის მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში.
- სასურველია დაიხვეწოს დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში გაწერილი კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგები, კერძოდ მასში არაა სათანადოდ ასახული სწავლის უნარი, რაც პროგრამის კვლევითი კომპონენტებისა და სხვა მოთხოვნების გათვალისწინებით არის უზრუნველყოფილი.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

ქეთევან ჯინჭარაძემ რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გაითვალისწინეს ექსპერტთა რჩევები. თუმცა, დასკვნის გაკეთების უნართან დაკავშირებული რეკომენდაცია ვერ გაითვალისწინეს ისე, რომ სწავლის უნარიც არ შეეცვალათ. რაც შეეხება სადისერტაციო საბჭოს დებულებაში მოცემულ კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგებს, შესაბამისი ცვლილებები მასში მასში უკვე განხორციელებული იყო. წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს აღნიშნულისთვის.

ნანა გაფრინდაშვილმა ითხოვა უფრო ვრცლი განმარტება პროგრამის ინტერნაციონალიზაციათან დაკავშირებით.

ქეთევან ჯინჭარაძემ განმარტა, რომ ამჟამად ფორსამის ვაშინგტონის უნივერსიტეტთან ჰქონდათ გაფორმებული ხელშეკრულება და ამ ხელშეკრულების საფუძველზე ერთი სტუდენტი 3 თვით მიდიოდა ვაშინგტონში. ხარჯების 20% დოქტორანტი გადაიხდიდა, დანარჩენს კი ფარავდა უნივერსიტეტი.

4. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატია
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული და ინგლისური
კვალიფიკაციის კოდი	0705
კრედიტების რაოდენობა	120

ექსპერტმა დავით ბოსტოღანაშვილმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაცია გააცნო საბჭოს:

- სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებში მიეთითოს დასამუშავებელი სავალდებულო ლიტერატურის გვერდები ან თავები;
- სასურველია, ცალკეულ სილაბუსებში კურსის მიზნების აღწერის და სწავლის შედეგების ნაწილში მოყვანილი განმარტებები უფრო მკაფიოდ იყოს ფორმულირებული და პასუხობდეს კურსის შინაარს და თემატიკას;
- სალექციო კურსების შეფასების კომპონენტები ძირითადად სააუდიტორიო აქტივობებს მოიაზრებს. სწავლების და კვლევის უფრო ეფექტიანად ინტეგრირების მიზნით, სასურველია შეფასების სისტემაში უფრო მეტი დრო დაეთმოს დამოუკიდებელ მუშაობას, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები დარგისთვის აქტუალური სამეცნიერო თუ პრაქტიკული საკითხების კვლევას განახორციელებენ. სასწავლო კურსებში კვლევითი უნარების განმავითარებელი აქტივობების უფრო ინტენსიურად გათვალისწინება ხელს შეუწყობს როგორც სამაგისტრო პროგრამის შედეგებზე გასვლას, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ახალი ცოდნის გენერირების პერსპექტივებს, რაც წინამდებარე პროგრამის ერთ-ერთი მიზანია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაიმართა დისკუსია პროგრამის აკადემიურ პერსონალთან და მათ გამოთქვეს აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინების მზადყოფნა;
- სასურველია, რომ კვლევის მეთოდების კურსთან ერთად, პროგრამა სავალდებულო კომპონენტის სახით, ითვალისწინებდეს აკადემიური წერის კურსის გავლის აუცილებლობას. აღნიშნული კურსი ხელს შეუწყობს როგორც ზოგადად წერითი უნარების განვითარებას, ასევე, მნიშვნელოვნად დაეხმარება სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომის მომზადების მხრივაც;
- სასურველია, სავალდებულო კურსის სტატუსით პროგრამაში გათვალისწინებული იყოს „საგარეო პოლიტიკის ანალიზის" კურსის სწავლება. აღნიშნული კურსი სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას მიიღონ სიღრმისეული ინფორმაცია დარგისთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის: საგარეო პოლიტიკის არსი, საგარეო პოლიტიკის აქტორები და გადაწყვეტილების მიღების მოდელები, საერთაშორისო თუ შიდა სახელმწიფოებრივი ფაქტორების გავლენა საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე და სხვა. საგულისხმოა, რომ აღნიშნული კურსის ფარგლებში შეძენილი თეორიული ცოდნა მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს სტუდენტებს როგორც საგარეო პოლიტიკის ანალიზის სფეროში მიმდინარე უახლესი კვლევების და სამეცნიერო დებატების შესახებ ინფორმაციის მიღებაში, ასევე, სტუდენტები უკეთესად შეძლებენ თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის გააზრებას საგარეო პოლიტიკის და გადაწყვეტილებების მიღების სხვადასხვა მოდელების ჭრილში. აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით შედგა კომუნიკაცია პროგრამის ხელმძღვანელთან. დაწესებულებამ უკვე შეუკვეთა ლიტერატურა კურსის მომზადებისთვის.
- სასურველია, მოდიფიცირდეს „პოლიტიკური და სოციოლოგიური კვლევის მეთოდების" კურსი. პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია კურსის პირველ 4 კვირაზე გაწერილი

თემატიკა, რომელიც ძირითადად ემპირიული კვლევების განვითარების ისტორიას და სხვადასხვა მეთოდოლოგიურ სკოლებს შორის გასულ საუკუნეში მიმდინარე დებატებს ეთმობა, უფრო შემჭიდროვებულად იქნას სილაბუსში წარმოდგენილი და უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს კვლევისთვის საჭირო ინსტრუმენტების სწავლებას (მაგალითად, ლიტერატურის მიმოხილვა და ა.შ.). ბუნებრივია, ემპირიული კვლევების ისტორიის შესწავლა თავისთავად მნიშვნელოვანი აკადემიური წამოწყებაა, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ პროგრამაში მხოლოდ ერთი კურსის ფარგლებში ხდება კვლევის მეთოდოლოგიის სწავლება, სასურველია უფრო მეტი აქცენტი სწორედ კონკრეტული მეთოდების შესწავლას დაეთმოს, რაც სტუდენტების მიერ დამოუკიდებელი კვლევების ჩატარების აუცილებელი წინაპირობაა.

- მნიშვნელოვანია, მოდიფიცირდეს კურსი „საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე თეორიები". მიუხედავად კურსის სტატუსისა (სავალდებულო) და სახელწოდებისა მასში ძალიან მწირად არის განხილული თანამედროვე თეორიები და კვლევები. კურსის მოცემული ვერსია უფრო მეტად კლასიკურ თეორიებს შეეხება, ვიდრე თანამედროვე დებატებს. ასევე, ბევრი მნიშვნელოვანი თეორიული საკითხი მხოლოდ ერთი ავტორის პოზიციიდან არის განხილული, რაც არ ასახავს იმ თეორიულ მრავალფეროვნებას, რაც დარგში არსებობს. შესაბამისად აღნიშნულ კურსთან მიმართებაში ორი რეკომენდაციის გათვალისწინება იქნება სასურველი:
- კურსი კლასიკურ ტექსტებთან ერთად უნდა დაეყრდნოს თანამედროვე კვლევებს და პუბლიკაციებს, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში არის შესაძლებელი დარგში მიმდინარე თანამედროვე დისკუსიების შესახებ სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება;
- იმ შემთხვევაში, თუ a პუნქტით შემოთავაზებული რეკომენდაციის გათვალისწინება მოხდება, კურსის სახელწოდება მოდიფიცირდეს და განისაზღვროს შემდეგი რედაქციით: „საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკური და თანამედროვე თეორიები".
- მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებს ქონდეთ შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებების და ხედვების გაცნობის შესაძლებლობა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სილაბუსით განსაზღვრული ლიტერატურა გამრავალფეროვნდეს და ორიენტირდეს შესასწავლი საკითხებისადმი განსხვავებული თეორიული ხედვების თუ მიდგომების არსებობის დემონსტრირებაზე.
- უნივერსიტეტის ადმინისტრაცია რესურსებს მიმართავს დაწესებულების საბიბლიოთეკო პოტენციალის გასაძლიერებლად. ამავდროულად, მნიშვნელოვანია, რომ სკოლის და ზოგადად უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ კიდევ უფრო მეტი რესურსი გამოყოს უშუალოდ საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის პროგრამისთვის საბიბლიოთეკო პოტენციალის გასაძლიერებლად როგორც წიგნების, ასევე ელექტრონული ბაზების შეძენის მიმართულებით.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით არ გააკეთებდა კომენტარს. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა ითხოვა განმარტება, კონკრეტულად რომელი სასწავლო კურსების სილაბუსები ჰქონდა ექსპერტს მხედველობაში.

ექსპერტმა, დავით ბოსტოღანაშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამა ექსპერტმა გიორგი გვალიამ შეამოწმა და კითხვაზე ვერ გასცემდა პასუხს. ექაპერტმა გიორგი გვალიამ გარკვეული მიზეზის გამო საბჭოზე მოსვლა ვერ შეძლო და რადგან ჯგუფის თავმჯდომარე იყო საბჭოს წინაშე მან წარადგინა დასკვნა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამასთან დაკავშირებით ისაუბრეს ბატონ გიორგისთან, სასწავლო კურსის შეფასების სიტემა გულისხმობს ორი შუალედურის 20-20 ქულას, ხოლო 20 ქულა სტუდენტმა, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა გამოიყენოს ყოველდღიურ აქტივობებში, ან უნდა მოამზადოს რეფერატი, სიმულაცია, მოლაპარაკების პროცესი და სხვა. ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა, აქტივობები ჭარბობდა, რადგან თავად სასწავლო კურსის ხელმძღვანელმა ჩათვალა საჭიროდ, ასეთ შემთხვევაში მას ჰქონდა აკადემიური თავისუფლება. ზოგადად, უნივერსიტეტის წარმომადგენელი ითვალისწინებდა რეკომენდაციას და აღნიშნა, რომ

შესაძლოა, ზედმეტად დიდ თავისუფლებას აძლევდნენ ხელმძღვანელებს ამ კუთხით. რაც შეეხებოდა აკადემიური წერის კურსს, უნივერსიტეტის წარმომადგენლის თქმით, აღნიშნული კურსი ნამდვილად იყო პროგრამაში. უბრალოდ ყურადღება მიექცა უფრო აქტუალურ თემატიკას და აკადემიური წერა დაიჩრდილა.

საგარეო პოლიტიკის ანალიზის კურსთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ არ ჰქონდათ ასეთი კურსი, თუმცა იყო რამდენიმე სასწავლო კურსი, რომელიც ამ საკითხს მოიცავდა. შესაბამისი სასწავლო კურსის განსახორციელებლად აუცილებელი სახელმზღვანელობიც დაწესებულებას გამოწერილი ჰქონდა. მისი თქმით, სამომავლოდ, აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებასაც აპირებდნენ, თუმცა, ამ ეტაპზე ამისი აუცილებლობა არ იყო.

პოლიტიკურ-სოციოლოგიური კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით, წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ გათვალისწინებული იქნა ექსპერტის მოსაზრებები, დაწესებულებამ შეცვალა ერთი სილაბუსი და სასწავლო კურსის განმახორციელებელი პროფესორიც.

ბიბლიოთეკასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ორი თვით ადრე ჰქონდათ შეძენილი ბაზა, რაც ექსპერტმაც ნახა ვიზიტის დროს. დაწესებულების წარმომადგენლებმა მადლობა გასაუხადეს ექსპერტს რეკომენდაციების შემუშავებისთვის.

ირაკლი მაჩაბელი დაინტერესდა, მითითებული რეკომენდაციები ექსპერტის მოსაზრებით სავალდებულოდ გასათვალისწინებელი იყო თუ არა.

ექსპერტებმა და უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტეს, რომ ექსპერტის მოსაზრებები სარეკომენდაციო ხასიათს ატარებდა და მხოლოდ გააუმჯობესებდა პროგრამას.

ირაკლი მაჩაბელმა გაიზიარა ექსპერტის რეკომენდაცია საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით.

5. შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

ცენტრის თანამშრომელმა, ლიკა გიორგაძემ საბჭოს მოახსენა, რომ ექსპერტი გიორგი გვალია, რომელიც იმყოფებოდა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეროწმების მიზნით შესაბამის დაწესებულებაში, ვერ ახერხებდა სხდომაზე გამოცხადებას და შესთავაზა საბჭოს, თავად გააცნობდა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებებს პროგრამის თაობაზე ან გადაედოთ საკთხის განხილვა მომდევნო სხდომისთვის.

საბჭოს წევრმა ზაზა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პროგრამასთან დაკავშირებით ჰქონდა კითხვები ექსპერტთან, ამდენად, მისი სურვილი იყო გადადებულიყო საკითხის განხილვა.

საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საკითხის გადადების შესახებ.

6. შპს უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის დასახელება	ქართულ ენაში მომზადების პროგრამა აზერბაიჯანულენოვანთათვის
კრედიტების რაოდენობა	60

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა, მაია გონაშვილმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები:

- უმაღლესი სასწავლებლის „განათლების აკადემიის“ მიერ წარმოდგენილი „ქართულ ენაში მომზადების პროგრამა აზერბაიჯანულენოვანთათვის“ უაღრესად მნიშვნელოვანი პროგრამაა არა მარტო აღნიშნული კოლეჯისათვის, არამედ მთლიანად ქვეყნის განათლების სისტემისათვის. მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ აღნიშნული პროგრამა კონკრეტულად აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტებისათვისაა განკუთვნილი, რაც გამართლებულია მეორე ენის სწავლების მეთოდოლოგიით. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სასურველია, რომ აღნიშნულმა კოლეჯმა ასევე გაითვალისწინოს ქვეყნის სომხურენოვანი კონტინგენტი და მათთვისაც შეიმუშაოს შესაბამისი პროგრამა (ან ცალკე მოდულის სახით გააერთიანოს წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში), რადგან სომხურენოვანი სტუდენტები პროგრამის მიღმა რჩებიან და მათი ქართულ საუნივერსიტეტო სტუდენტურ სივრცეში ინტეგრაცია, ასევე პრიორიტეტულია საქართველოს განათლების სისტემისათვის.
- პროგრამაში ჩართულია საგნები მიზნობრივი შერჩევის საფუძველზე და ფაქტობრივად, შედეგის მიღწევა ყველა წარმოდგენილი საგნის ინტეგრირებული სწავლების შედეგად ივარაუდება. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სასურველია, დაემატოს საგანი, რომელიც მეორე ენის სწავლების მეთოდიკაში „გადაცდომათა ანალიზის“ (Error Analysis) სახელითაა ცნობილი. ამ შემთხვევაში გადაცდომად ჩაითვლება აზერბაიჯანული ენის გავლენით გამოწვეული სისტემური შეცდომები ამავე სტუდენტთა ქართულ მეტყველებაში. სომხურენოვან სტუდენტთათვის პროგრამის ანალოგიური ვარაინტის შემუშავების დროსაც, სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინს ასეთივე საგანი სუმხურ ენასთან მიმართებით.
- სასურველია არსებული სილაბუსების დახვეწა, რაც ფაქტობრივად, პროგრამის ამუშავების შემდეგ უფრო ეფექტურად მოხდება. ექსპერტთა ჯგუფს მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ ერთსა და იმავე სილაბუსში, შეიძლება ითქვას, ზოგ შემთხვევაში, ჭარბადაა წარმოდგენილი სახელმძღვანელოები. ეს შეიძლება გასაგებიც იყოს და ამ ეტაპზე ასეც დარჩეს, რადგან პროგრამის პრაქტიკულად ამუშავების შემთხვევაში ნათელი გახდება, თუ რომელი სახელმძღვანელო შეიძლება უფრო მეტად მისაღები იყოს ამა თუ იმ კონკრეტული საკითხის სწავლების დროს და მთლიანად პროგრამისათვის. თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ ზოგჯერ სხვადასხვა საკითხის სწავლება შესაძლებელია სხვდასხვა სახელმძღვანელოს მიხედვით უფრო ეფექტური იყოს.

თავმჯდომარემ მისცა საშუალება დაწესებულების წარმომადგენელს, გამოეთქვა თავისი მოსაზრება.

ნატალია ბარათელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ რეკომენდაციები ნამდვილად გასათვალისწინებელი იყო. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კურსი ახალი იყო და რადგან სტუდენტები ჯერ არ ჰყავდა, პროგრამის ამოქმედების შემდეგ დაინახავდნენ საჭიროებას და იმის მიხედვით იმოქმედებდნენ. სწორედ ამის გამო შეარჩიეს ლიტერატურის ჭარბი მოცულობაც.

დავით კახნიაშვილმა განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა კონტიგენტის აზრის გათვალისწინება და დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელს.

საბჭოს წევრმა, ზაზა რუხაძემ განაცხადა, რომ დასკვნას უფრო პოლიტიკური შეფასება ჰქონდა, ვიდრე შინაარსობრივი.

7. შპს უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიის ფინანსების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის დასახელება	ფინანსები
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში
სწავლების ენა	ქართული (ინგლისურენოვანი კომპონენტებით)
კვალიფიკაციის კოდი	0204
კრედიტების რაოდენობა	240

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა, მაია გონაშვილმა, რომელმაც საბჭოს მოახსენა, რომ ვიზიტის მიმდინაროებისას პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, სასწავლო კურსის ფინანსების თეორიის წინაპირობა იყოს არა ეკონომიკის პრინციპები I (მიკრო), არამედ ეკონომიკის პრინციპები 2 (მაკრო);
- მიზანშეწონილია, ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში სრულად და დეტალურად ჩაიშალოს კომპეტენციები. მაგ.: ეკონომიკის პრინციპები 1, რომელიც მოიცავს მხოლოდ ორ კომპეტენციას ცოდნა-გაცნობიერება და სწავლის უნარი, ხოლო სილაბუსით და ლექტორთან ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ რეალუად სხვა კომპეტენციებზეც გადის სასწავლო კურსი (დასკვნის უნარი და ა.შ.);
- მიზანშეწონილია, ცალკეულ სასწავლო კურსებში გადამოწმდეს თემების და მასალების თანმიმდევრობა, რომ არ დაემთხვეს ერთმანეთს, მაგ. მენეჯმენტის საფუძვლებში ისწავლება მარკეტინგ-მენეჯმენტი მე-10 კვირაში, რაც მოიცავს მარკეტინგის არსს, პრინციპებს, ფუნქციებს და ა.შ. და რომელსაც მოიცავს მარკეტინგის ასევე სავალდებულო საგანი;
- სასურველია, პრაქტიკის სილაბუსში „ფინანსური ინსტიტუტები (ბანკი)" დამატებით საფინანსო ინსტიტუტების საკითხების გაძლიერება;
- სასურველია, გაძლიერდეს დამსაქმებლებთან თანამშრომლობა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

ნატალია ბარათელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს რეკომენდაციებისთვის და აღნიშნა, რომ პროგრამის მომზადებისას ამჯობინეს უფრო ნაკლები კომპეტენცია მიეთითებინათ, ვიდრე გადაეჭარბებინათ, მთლიანობაში, იზიარებდნენ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებებს. წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ მენეჯმენტის საფუძვლებში აუცილებლად უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული მარკეტინგის არსის სწავლება, შესაბამისად, მოცემულ რეკომენდაციას სრულად არ ეთანხმებოდა. რაც შეეხება პარტნიორ უნივერსიტეტებს, ბარათელმა აღნიშნა, რომ სტუდენტებს ორმაგ ხარისხს ანიჭებენ - ქართულთან ერთად, პოლონეთის უნივერსიტეტის.

საბჭოს წევრმა, ზაზა მარუაშვილმა განაცხადა, რომ ორმაგი ხარისხის თემა კარგად დასაფიქრებელია.

ექსპერტმა, მაია გონაშვილმა განაცხადა, რომ როგორც თავიდანვე აღნიშნა, შეთანხმება არსებობდა პოლონურ მხარესთანან და თანხმობა იყო განათლების სამინისტროდანაც.

ზაზა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ ეს არ ჩანდა სასწავლო გეგმაში და დაინტერესდა რა საგნებს ითვალისწინებდა ეს პროგრამა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნატალია ბარათელმა განაცხადა, რომ ცამეტი საგანი იყო სულ, მათ შორის ეკოლოგია, შრომის დაცვის საფუძვლები, ეკონომიკური გეოგრაფია და ა.შ. მათ სილაბუსებიც ჰქონდათ ნათარგმნი მეტი სიზუსტისთვის. ასევე, თქვა, რომ ეს მათი პირველი მცდელობა იყო და ცდილობდნენ საკუთარი ნიშა მოძებნათ, ერთი წელი ამზადებდნენ პროგრამას და მხოლოდ კარგად დაამუშავების შემდეგ წარმოადგინეს ცენტრში.

ზაზა მარუაშვილი დანტერესდა, რამდენ კრედიტს შეადგენდა მათლიანობაში აღნიშნული ცამეტი საგანი, რომელსაც ორივე მხარე აღიარებდა.

ნატალია ბარათელმა უპასუხა, რომ წარმოდგენილი საგნებს 65 კრედიტი ეთმობოდა პროგრამაში.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ ასეთ დროს სიფრთხილე იყო საჭირო, თუმცა, ერთობლივი პროგრამის შექმნის იდეა მოიწონა.

ზაზა მარუაშვილმა იკითხა, რამდენწლიანი იყო წარმოდგენილი პროგრამა. წარმომადგენელმა საბჭოს განუმარტა, რომ პროგრამა ოთხ წელზე იყო გათვლილი.

საბჭოს წევრმა, მაია ჩიხლაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებას იცნობდა კოლეჯის სახით და აღნიშნა, რომ მხოლოდ მათ ჰქონდათ აკრედიტებული პროგრამები. მან მხარდაჭერა გამოთქვა პროგრამის შესახებ და აღნიშნა, რომ დარწმუნებული იყო პროგრამის შედეგებზე გასვლაში.

16:50 საათზე სხოდმაზე გამოცხადდა შესვენება. სხდომა განახლდა 17:30 საათზე.

თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო საბჭოს გადაწყვეტილებები:

- შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);
- შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);
- შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);
- შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);
- შპს - უმაღლესი სასწავლებლის განათლების აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);
- შპს - უმაღლესი სასწავლებლის განათლების აკადემიის ფინანსების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია(მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0);

შპს - ახალი უმაღლესი სასწავლებლის რექტორმა, თამარ გარდაფხაძემ სხდომას მიმართა შუამდგომლობით, განეხილათ დღის წესრიგით განსაზღვრული მერხუთე საკითხი, კერძოდ, შპს - ახალი უმაღლესი სასწავლებლის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი ექსპერტის დაუსწრებლად, რადგან იგი აპირებდა გამგაზვრებას კონფერენციაზე და მომდევნო სხდომაზე, სავარაუდოდ, ვერ შეძლებდა გამოცხადებას.

საბჭომ არ დააკმაყოფილა დაწესებულების წარმომადგენლის შუამდგომლობა და გადავიდა დღის წესრიგით განსაზვღვრული შემდეგი საკითხის განხილვაზე.

8. შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის დასახელება	სამართალი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამართლის მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული (ინგლისურენოვანი კომპონენტებით)
კვალიფიკაციის კოდი	06
კრედიტების რაოდენობა	120

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა, დავითა ბოსტოღანაშვილმა, რომელმაც საბჭოს გააცნო პროგრამის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული რეკომენდაცია:

- სამართლის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულია ისეთი საგნები, როგორიცაა სამართლის ფილოსოფია და აკადემიური წერა იურისტებისათვის. სილაბუსების თანახმად, ამ საგნის სწავლების შედეგად სტუდენტი ვერ გადის ისეთ შედეგზე, როგორიცაა ღირებულებები, არადა ორივე საგანი, თემატიკისა და მეთოდების გათვალისწინებით იძლევა ღირებულებებზე გასვლის საშუალებას. სასურველია, აღნიშნულ სილაბუსებში, შედეგების ნაწილში გათვალისწინებული იყოს შესაბამისი შედეგი.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა, ზურაბ ძლიერიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს თანამშრომლობისთვის და აღნიშნა, რომ რეკომენდაცია უკვე გათვალისწინებული იყო.

საბჭოს წევრის, ზაზა მარუაშვილის მოსაზრებით, სამაგისტრო ნაშრომისთვის მომეტებული იყო 36 კრედიტი, მისი აზრით, უმჯობესი იქნებოდა ნაშრომი ყოფილიყო 24 კრედიტის მოცულობით წარმოდგენილი, ხოლო 6 კრედიტი დათმობოდა მოსამზადებელ სამუშაოებს, ანუ, მთლიანობაში 30 კრედიტი ყოფილიყო ამ მიმართულებით გათვალისწინებული. გამოთავისუფლებული 6 კრედიტი შეეძლოთ სხვა მიზნითს გამოეყენებინათ.

9. შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის დასახელება	ადამიანური რესურსების მართვა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ადამიანური რესურსების მართვის მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	020322
კრედიტების რაოდენობა	120

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა, ნინო ჯოჯუამ, რომელმაც აღნიშნა, რომ მთლიანობაში, დადებითი დასკვნა იყო წარმოდგენილი პროგრამასთან დაკავშირებით, თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაციები. ექსპერტმა საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაცია:

- სასურველია, სასწავლო კურსს „კანონმდებლობა ადამიანური რესურების მართვის სფეროში" შეეცვალოს სტატუსი და გახდეს სავალდებულო სასწავლო კურსი, რაც შესაძლებელია თუნდაც ბიზნესის ადმინისტრირების პროფილის სავალდებულო სასწავლო კურსებიდან ერთ-ერთი კურსის სტატუსის შეცვლით (სავალდებულო სასწავლო კურსიდან არჩევით სასწავლო კურსად შეთავაზებით).

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს თანამშრომლობისთვის და აღნიშნა, რომ აუცილებლად გაითვალისწინებდნენ რეკომენდაციას.

საბჭოს წევრი დაინტერესდა დაწესებულების პარტნიორების რაოდენობით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ორმოცდაათზე მეტი პარტნიორი ყავდათ.

ზაზა მარუაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ უმჯობესი იქნებოდა გაძლიერებულიყო სამართლებრივი საკითხები. დაწესებულების წარმომადგენლემა აღნიშნა, რომ გაითვალსწინებდნენ მის მოსაზრებას.

10. შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები) სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	02
კრედიტების რაოდენობა	120

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა, ნინო ჯოჯუამ, რომელმაც აღნიშნა, რომ მთლიანობაში დადებითი მოსაზრება იყო პროგრამების შესახებ წარმოდგენილი, იყო რიგი ტექნიკური საკითხებისა, რაც გასწორებას საჭიროებდა.

ექსპერტმა საბჭოს გააცნო პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით შემუშავებული რეკომენდაცია:

- ჩასწორდეს პროგრამის აღწერილობაში პუნქტი პროგრამის მოცულობა კრედიტებით, რომელში მოცემული ინფორმაცია განსხვავებულია სასწავლო გეგმაში მოცემული ინფორმაციისგან.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი, ავთანდილ გაგნიძე დაეთანხმა ექსპერტს და აღნიშნა, რომ აუცილებად შეიტანდნენ შესაბამის შესწორებას პროგრამაში.

ირაკლი მაჩაბელი დაინტერესდა, რამდენკვირიანი იყო თითეული ტრიმესტრი, რადგან ჩანაწერში ფიქსირდებოდა როგორც 15, ასევე 13 კვირა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 15 კვირიანი იყო, თუმცა, მასში შედიოდა 1 კვირა, რომელიც შუალედური გამოცდებისთვის იყო გათვალისწინებული, ასევე 1 კვირა, რომელიც ფინალურ გამოცდას უნდა დათმობოდა, ასევე, კიდევ ერთი კვირა ეთმობოდა დამატებით გამოცდას. ამდენად, სალექციო კვირა 12 იყო.

ირაკლი მაჩაბელმა მოიწონა სასწავლო პროცესის ტრიმესტრებად ორგანიზების იდეა, თუმცა, გამოთქვა მოსაზრება, რომ მხოლოდ ერთი კვირის გათვალისწინება დამატებითი გამოცდისთვის მცირე პერიოდი იყო სამი საგნის გადაბარებისთვის.

საბჭოს წევრმა, ნანა გაფრინდაშვილმა აღნიშნა, რომ მისთვისაც ტრიმესტრული სისტემა გაცილებით მისაღები იყო, უმჯობესი იქნებოდა, ყველგან ასეთი სისტემა ყოფილიყო დამკვიდრებული, ასევე მოიწონა პროგრამა და მის ხელმძღვანელი.

11. შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
სწავლების ენა	ინგლისური
კვალიფიკაციის კოდი	02
კრედიტების რაოდენობა	240

საკითხი საბჭოს წინაშე წრადაგინა ექსპერტმა მაია გონაშვილმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, გაიზარდოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაციის განმსაზღვრელი მაპროფილებელი სასწავლო კურსებისთვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა. კერძოდ, კრედიტების რაოდენობა გაიზარდოს მარკეტინგის მიმართულებით, რადგან სასწავლო პროგრამაში მარკეტინგს ეთმობა მხოლოდ 6 კრედიტი, მაშინ როცა უმაღლესი მათემატიკის პროფილის საგნებს ეთმობა 18, რაოდენობრივი მეთოდებისა და სტატისტიკის პროფილის საგნებს, ასევე, 18 კრედიტი.
- სასურველია, პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული იქნას არჩევითი მოდულები (მაგ. ფინანსების, მენეჯმენტის, მარკეტინგის, ბუღალტრული/ფინანსური აღრიცხვის მიმართულებით). ასევე, საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ იქნას სასწავლო კურსები სამართლის (მაგ. ბიზნეს სამართალი) მიმართულებიდან.
- სასურველია, სასწავლო კურსების მიზნებიდან, სწავლების მეთოდებიდან, შინაარსიდან და საგანმანათლებლო პროგრამაში მათი როლიდან გამომდინარე სხვადასხვა საწავლო კურსებს დაეთმოს კრედიტების განსხვავებული რაოდენობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ავთანდილ გაგნიძემ განაცხადა, რომ მარკეტინგთან დაკავშირებული რეკომენდაციები მისთვის მისაღები იყო და მომზადებული ჰქონდა სამარკეტინგო კომუნიკაციების პროგრამა, უბრალოდ ამ ეტაპზე არ ჩათვალეს საჭიროდ კონცენტრაციები, რადგან 150 სტუდენტის პრაქტიკის გავლა ძნელად წარმოსადგენად მიიჩნიეს და ამიტომ ჩართეს არჩევით საგნად.

საბჭოს წევრი, ზაზა რუხაძე დაინტერესდა, თუ ვისთვის იყო გათვლილი აღნიშნული ინგლისურენოვანი პროგრამა, რადგან ქართულენოვნებს პრობლემა ჰქონდათ ენის თვალსაზრისით.

დაწესებულების წარმომადგენელმა დავით ჩერქეზიშვილმა საბჭოს განუმარტა, რომ მათ ჰქონდათ შესწავლილი ბაზარი და დაინტერესებულთა შორის იყვნენ აზიის ქვეყნები, კერძოდ, ინდოეთი, ინდონეზია, პაკისტანი. ამასთან, დაწესებულება სტუდენტებს სთავაზობდა სწავლის ლონდონის ბიზნეს სკოლაში გაგრძელების შესაძლებლობას.

საბჭოს წევრმა, ზაზა რუხაძემ უკმაყოფილება გამოთქვა, რომ არსებული სუბიექტები ბაზარზე დამკვიდრებას უცხოელი სტუდენტების მოზიდვით ცდილობენ, რითაც იმიჯი ძალიან ფუჭდებოდა.

ხარიხის უზრუნველყოფის წარმომადგენელმა, ირინა დარჩიამ განაცხადა, რომ დაწესებულება აპირებდა ერაზმუს მუნდუსის პროგრამაში ჩართვას და შესაბამისად, უცხოენოვანი კურსები ძალიან გამოსადეგი იქნებოდა. მან ასევე აღნიშნა, რომ გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულებები რიგის და ტურინის უნივერსიტეტებთან, მოლაპარაკებები ჰქონდათ ხორვატიისა და ჩეხეთის დელეგაციის წარმომადგენლებთანაც.

საბჭოს წევრმა, ზაზა მარუაშვილმა განაცხადა, რადგან მისი ინფორმაციით, ავთანდილ გაგნიძე ამავდროულად იყო საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის პროგრამის ხელმძღვანელიც.

ავთანდილ გაგნიძემ საბჭოს მოახსენა, რომ მართალია, იღებდა მონაწილეობას საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის პროგრამის შემუშავებაში, მაგრამ ის არ წარმოადგენდა პროგრამის

ხელმძღვანელს. ამასთან, კანონი არ კრძალავს პროფესორის თანამდებობის დაკავებას ერთდროულად ორ სასწავლო უნივერსიტეტში.

18:05 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება. სხდომა განახლდა 18:20 საათზე. თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები:

- შპს - აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 7; წინააღმდეგი - 0);
- შპს - აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 7; წინააღმდეგი - 0);
- შპს - აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 7; წინააღმდეგი - 0);
- შპს - აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 7; წინააღმდეგი - 0).

12. შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის დასახელება	განათლების კვლევები და ადმინისტრირება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	განათლების მეცნიერებების მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული და ინგლისური
კვალიფიკაციის კოდი	0301
კრედიტების რაოდენობა	120

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა მაია ბიწაძემ, რომელმაც გააცნო საბჭოს რეკომენდაციები:

- პროგრამის აღწერილობაში კრედიტების დაანგარიშებაში სავარაუდოდ, დაშვებულია უზუსტობა. პროგრამის კრედიტების დაანგარიშებისას კვლევის მოდულის ფარგლებში პრობლემას ქმნის საკურსო ნაშრომი (6 კრედიტი). პროგრამის მიხედვით, ამ მოდულით გათვალისწინებულია 42 კრედიტის აღება. საკურსო ნაშრომის ჩათვლით კი (რომელიც ამ მოდულის ბოლოშია მოცემული) გამოდის 48 კრედიტი. სავარაუდოდ, კვლევის სავალდებულო მოდულში 1 კურსი (6 კრედიტი) ზედმეტია;
- პროგრამაში პროფესორ/მასწავლებლების დიდი უმრავლესობა მოწვეულია (დაახლოებით 21 მოწვეული ლექტორი). მათი კომპეტენცია დასტურდება პირად საქმეებში გადამოწმებული განათლებით, პროფესიული გამოცდილებითა და გამოქვეყნებული პუბლიკაციებით. პუბლიკაციების დიდი ნაწილი მხოლოდ ეროვნულ ჟურნალებშია გამოქვეყნებული. ნაკლებადაა წარმოდგენილი საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები. მაგ. Google scholar-ის საძიებო სისტემით იძებნება მხოლოდ რამდენიმე პროფესორის/ლექტორის სტატია. მოწვეული ლექტორების ნაწილს არ აქვს სადოქტორო ხარისხი, თუმცა მათი სამუშაო გამოცდილება ხშირად აკომპენსირებს ამ ნაკლოვანებას. რეკომენდაციის სახით, მიზანშეწონილია, რომ მომავალში უნივერსიტეტმა მიზანმიმართულად იმუშაოს პროგრამის განხორციელებაში ისეთი კადრების შერჩევისათვის, რომლებსაც ექნებათ აკადემიური ხარისხი და სამეცნიერო პუბლიკაციები საერთაშორისო რეფერირებულ გამოცემებში იმ მიმართულებით, რომელ კურსსაც უძღვებიან; ამავე დროს, რადგან პროგრამა ხორციელდება ძირითადად მოწვეული ლექტორების ძალებით, რეკომენდაციის სახით, პროგრამის განხორციელებისას პროგრამის ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ მასში მონაწილე მოწვეული ლექტორების პროგრამაში ჩართულობის კოორდინაციას პროგრამის საერთო შედეგებზე გასვლისათვის და კურსების თემატიკაში გადაფარვების თავიდან ასაცილებლად;
- უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში მოწვეულია 2 უცხოელი პროფესორი ამერიკიდან და ავსტრიიდან. მათთან ხელშეკრულებები უნივერსიტეტს ამჟამად არ აქვს გაფორმებული. თუმცა, უნივერსიტეტმა წარმოადგინა მათი განცხადებები და რექტორის შესაბამისი ბრძანება. როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენელთან გასაუბრებისას გაირკვა, უცხოელი პროფესორები კურსს წაიყვანენ ინტენსიური კურსების სახით მათი ვიზიტებისას საქართველოში. ვიზიტის დროს რეკომენდაციის სახით შეთავაზებულ იქნა ამგვარ კურსებში გამოყენებული იყოს ადგილობრივი პროფესორისა და უცხოელი პროფესორის ტანდემით მუშაობის პრინციპი. ადგილობრივი პროფესორი საჭირო დახმარებასა და კონსულტაციას გაუწევს სტუდენტებს უცხოელი პროფესორის საქართველოში არყოფნის დროს. ამგვარად, კურსების სწავლის შედეგებზე გასვლის ალბათობა გაიზრდება. მით უმეტეს, რომ უცხოელი პროფესორები ასწავლიან პროგრამისათვის ისეთ საკვანძო კურსებს, როგორებიცაა: Research Methods in Education, Teaching and Learning Modern Methodology, Comparative Education (Pedagogy), Modern Education Technologies. ეს რეკომენდაცია უნივერსიტეტის მიერ გაზიარებული იქნა და აისახა შესაბამისი კურსების სილაბუსებში;

- ზოგიერთ კურსში შეინიშნება მცირე გადაცდომები და ტექნიკური შეცდომები, რაც სასურველია გასწორდეს (დაწვრილებით იხილეთ 1.2);
- ტექნიკურად გადასახედია სწავლის შედეგების რუკა, რათა იგი შეესაბამებოდეს ერთი მხრივ სილაბუსებში მოცემულ კომპეტენციებს და მეორე მხრივ, კურსების თემატიკიდან და სწავლების მეთოდიკიდან გამომდინარე სწავლის შედეგებს.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს თანამშრომლობისთვის. მისი თქმით, მართლაც იყო რიგი ტექნიკური უზუსტობებისა, უფრო კონკრეტულად კი სამ საგანში, სწავლის შედეგებში, რაც უკვე გაითვალისწინეს და გაასწორეს. ასევე, მისი თქმით, გასწორდა მოწვეულ პროფესორებთან დაკავშირებული შენიშვნა, ქართველი ლექტორები მიამაგრეს შესაბამის კურსს.

აკადემიურ ნაწილთან დაკავშირებით დაფიქსირებულ რეკომენდაციას დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელი, თუმცა აღნიშნა, რომ რეალურად, ძალიან ცოტა უნივერსიტეტი ახერხებდა აღნიშნულს. მისი თქმით, ასევე გამოცხადებული იყო კონკურსი შესაბამისი ადამიანური რესურსის მოზიდვის მიზნით, შეეძლოთ ეხილათ შესაბამისი ვებგვერდი www.jobs.ge, სადაც გამოქვეყნებული იყო შესაბამისი ინფორმაცია. წარმომადგენლის განცხადებით, მაქსიმალურად ცდილობდნენ დაებალანსებინათ პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი ადამიანური რესურსი შესაბამისი გამოცდილების მიხედვით: პრაქტიკა, თეორია, კვლევაში მონაწილეობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა პროგრამის ადამიანური რესურსის მაღალკვალიფიციურობაზე. სხდომაზე ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ პროგრამაში ჩართულ პროფესორ-მასწავლებლებს საზღვარგარეთ ჰქონდათ განათლება მიღებული.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა თუ იყო საკმარისი და რამდენად აკმაყოფილებდა სტანდარტებს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას პროგრამის განსახორციელებლად ჰყავდა შესაბამისი ადამიანური რესურსი, სტანდარტი დაკმაყოფილებული იყო.

ზაზა რუხაძე ასევე დაინტერესდა, კონკურსის გზით არჩეული პერსონალი რამდენად აკმაყოფილებდა სტანდარტებს.

დაწესებულების წარმომადგენლმა აღნიშნა, რომ კერძო უნივერსიტეტების შემთხვევაში წესი, რომელიც კანონმა დაადგინა უნივერსიტეტებისთვის, რომლებიც წარმოადგენდნენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირების, არ ვრცელდებოდა.

ნანა გაფრინდაშვილმა აღნიშნა, რომ კენჭისყრის დროს აპირებდა მხარი დაეჭირა პროგრამისთვის, ასევე, მიმართა ექსპერტს, რას გულისხმობდა, როდესაც პროგრამაში ჩართული ლექტორების კოორდინაციაზე საუბრობდა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ იყო შემთხვევები, როდესაც ბევრი ლექტორი იყო ჩართული ერთ პროგრამაში, აღნიშნული ართულებდა მათ საერთო შედეგებისკენ მიმართვას. მისი თქმით, ილიას უნივერსიტეტმა სამი წლის წინ დაიწყო მსგავსი პროგრამის განხორციელება და პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე აძლევდა ასეთ რეკომენდაციას. ეს მისი მოსაზრება იყო და ნუ იდავებდნენ.

ნანა გაფრინდაშვილმა მოუბოდიშა ექსპერტს და აღნიშნა, რომ ვერ ხედავდა ლოგიკას, რა მნიშვნელობა ჰქონდა პროგრამას განახორციელებდა ერთი პირი თუ ჩართული იქნებოდა ოცდახუთი პროფესორ-მასწავლებელი, ჰქონდა შესაბამისი მრავალწლიანი გამოცდილება, ექსპერტის მიდგომა არ იყო ლოგიკური.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული იყო 26 პროფესორ-მასწავლებელი, მათგან 15 ფლობდა აკადემიურ ხარისხს, მხოლოდ ექვსს არ ჰქონდა დოქტორის აკადემიური ხარისხი და მათგან სამი უცხო ენას ასწავლიდა.

ზაზა რუხაძემ აღნიშნა, რომ უცხოური განათლების მიღება არ ნიშნავდა კომპეტენტურობას და რეალურად უნივერსიტეტი შეფასდებოდა კურსდამთავრებულების შედეგების მიხედვით. მისი

თქმით, განათლების კვლევას სახელმწიფო სტრუქტურები არ აკეთებდნენ, ეს ფუნქცია არასამთავრობო ორგანიზაციებმა აიღეს თავის თავზე, რაც დამღუპველი იყო.

დავით კახნიაშვილმა განაცხადა, რომ ადამიანური რესურსის შეუსაბამობის საკითხი არ იყო სახეზე და შედეგზე გასვლა არ უნდა ყოფილიყო დაყენებული კითხვის ნიშნის ქვეშ. მან ექსპერტს მიუთითა, რომ თუ ყველაფერი რიგზე იყო, ადამიანური რესურსების თვალსაზრისით, არ იყო საჭირო რეკომენდაციის მიცემა და ამ საკითხის დეტალური განხილვა.

ექსპერტმა მაია ბიწაძემ განაცხადა, რომ ლექტორებს შორის თანამშრომლობასა და კოორდინაციას კრიტიკული მნიშვნელობა ჰქონდა პროგრამისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტს შესაძლოა ეჭვი შეჰპაროდა, მაგრამ ეს იყო სამომავლო პერსპექტივა, რომ პროგრამა იყო ინტერდისციპლინური. ამასთან, ეთანხმებოდა ექსპერტს, რომ უცხოეთში მიღებული ხრისხი არ იყო გადამწყვეტად მნიშვნელოვანი.

საბჭოს წევრმა მამია ჯანჯალიმ გაიზიარა ზაზა რუხაძის მოსაზრება, რომ უცხოეთში მიღებული განათლება არ შეიძლებოდა ყოფილიყო ხარისხის ცალსახად განმსაზღვრელი.

18:50 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება. სხდომა განახლდა 18:55 საათზე.

თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო საბჭოს გადაწყვეტილება:

- შპს - აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0).

დღის წერსრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ 19:00 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ირაკლი მაჩაბელი

მდივანი
მაია ჩიხლაძე